

BMJ Best Practice

დივერტიკულური დაავადება

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



ბოლო განახლება: Dec 21, 2023

სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	4
პათოფიზიოლოგია	5
კლასიფიკაცია	5
შემთხვევის ანამნეზი	6
დიაგნოზი	7
მიდგომა	7
ანამნეზი და გასინჯვა	9
რისკფაქტორები	10
კვლევები	11
დიფერენციული დიაგნოზები	14
მართვა	17
მიდგომა	17
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	20
მკურნალობის ალგორითმი	23
პირველადი პრევენცია	39
მეორეული პრევენცია	39
განხილვები პაციენტთან	39
მეთვალყურეობა	40
მონიტორინგი	40
გართულებები	41
პროგნოზი	42
გაიდლაინები	44
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	44
მკურნალობის გაიდლაინები	44
მტკიცებულების ცხრილები	46
წყაროები	49
განმარტება	59

შეჯამება

დივერტიკული დაავადება, ძირითადად, უსიმპტომოა; პაციენტებს შესაძლოა აღენიშნებოდეთ ყაბზობა ან მუცლის არასპეციფიკური სიმპტომები.

სიმპტომური მწვავე დივერტიკულიტი ვლინდება ცხელებით, ლეიკოციტოზითა და მარცხენა ქვედა კვადრანტის ტკივილით.

კოლონოსკოპია დივერტიკული დაავადების ხშირი სადიაგნოსტიკო ტესტია. კომპიუტერული ტომოგრაფია მწვავე დივერტიკულიტის პრიორიტეტული ვიზუალიზაციური კვლევაა და შეცვალა კონტრასტული ოყნა.

მკურნალობა მოიცავს ნაწლავის განტვირთვას, ტკივილგამაყუჩებლებს, ანტიბიოტიკოთერაპიას და ქირურგიულ ჩარევას.

გართულებებს მიეკუთვნება სისხლდენა, ინფექცია, სეგმენტური კოლიტი, პერფორაცია, აბსცესი, პერიტონიტი, ფისტულა და ობსტრუქცია.

მართეთ მწვავე სისხლდენა ინტრავენური სითხეებით ან სისხლის ტრანსფუზიით და რადიოლოგიურად მართული ჰემოსტაზით (ემბოლიზაცია).

განსაზღვრება

მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზი გულისხმობს ლორწოვანისა და ლორწქევა შრის თიაქარს მსხვილი ნაწლავის კუნთოვან შრეში, რაც შეიძლება გამონეული იყოს ნაწლავის გლუვი კუნთის ჭარბი აქტივობით. დივერტიკული დაავადება შეიძლება განისაზღვროს როგორც ნებისმიერი კლინიკური მდგომარეობა, რომელიც გამომწვეულია ნაწლავური დივერტიკულების სიმპტომებით და მოიცავს უსიმპტომო და მძიმედ გამოხატული, გართულებული დაავადების ფართო სპექტრს. დივერტიკულიტი გულისხმობს დივერტიკულ(ებ)ის ანთებას და შეიძლება გამომწვეული იყოს ინფექციით. დივერტიკული დაავადების სხვა შესაძლო გართულებებია სეგმენტური კოლიტი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქვედა ნაწილიდან სისხლდენა, ინფექცია, აბსცესი, პერფორაცია, პერიტონიტი და ფისტულის ჩამოყალიბება.

ეპიდემიოლოგია

პრევალენტობა ასაკთან ერთად იმატებს. ინციდენტობა განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ 40 წლამდე პირებში არის <10%, 50 წლის პირებში - დაახლოებით 50%, ხოლო 80 წელს გადაცილებულ პირებში 50-60%.[4]

ევროპაში ერთ-ერთმა კვლევამ გამოავლინა დივერტიკული დაავადების პრევალენტობა 12-49%.[5] მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ჩატარებული კვლევების თანახმად დივერტიკული დაავადება იშვიათია აფრიკისა და აზიის სოფლებში (უმალესი პრევალენტობა აღინიშნება აშშ-ში, ევროპასა და ავსტრალიაში), მონაცემები გვიჩვენებს პრევალენტობის ზრდას ამ რეგიონებში.[6] [7] [8] [9] [10]

ვეგეტარიანულ ცხოვრების წესს დივერტიკული დაავადების უფრო დაბალი ინციდენტობა ახასიათებს.[11] [12] [13] მარჯვენამხრივი დივერტიკული დაავადება უფრო ხშირია აზიაში და დაკავშირებულია ხორცის მოხმარებასთან აზიურ პოპულაციაში.[14]

გენდერული სხვაობა დივერტიკული დაავადების პრევალენტობაში არ არსებობს.[4] თუმცა, ხანდაზმულ პირებში დომინირება აღინიშნება ქალებში.[15]

მწვავე დივერტიკულიტის მქონე ხანდაზმულ პაციენტებში ცხელებისა და ლეიკოციტოზის პრევალენტობა მერყეობს 30%-დან 50%-მდე. იშვიათად, უფრო ახალგაზრდა (<40 წ), ჭარბი წონის მქონე მამაკაცებში, ვლინდება დივერტიკული დაავადების უფრო აგრესიული ფორმა.[16]

ეტიოლოგია

ითვლება, რომ დივერტიკულ დაავადებას მულტიფაქტორული ეტიოლოგია აქვს. გამომწვევ მიზეზებად სახელდება როგორც გენეტიკური, ასევე გარემო ფაქტორები, განსაკუთრებით ბოჭკოს შემცველი საკვების მცირე რაოდენობით მიღება, რაც ითვლება დაავადების განვითარების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად განვითარებულ ქვეყნებში.[6] [17] [18]

სხვა ხელშემწყობი ფაქტორებია: დაბალი ფიზიკური აქტივობა, სიმსუქნე, წითელი ხორცის დიდი რაოდენობით მოხმარება, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის და კოფეინის ჭარბი მოხმარება, სტეროიდები და ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები.[2] [19] [20] [21] [22]

სხვა შესაძლო ეტიოლოგიებია:

- ნაწლავის კედლის სტრუქტურის ცვლილებები (III ტიპის კოლაგენის ჭარბი სინთეზი, ელასტინის დეპონირება), ნაწლავის მოტორიკის დარღვევა და ნაწლავის ნეიროტრანსმიტერების დისფუნქცია (ქოლინ აცეტილტრანსფერაზას შემცირება, სეროტონინის ექსპრესიის გაძლიერება).[14] [23] [24]
- შემაერთებელქსოვილოვანი ანომალიები, როგორიცაა ელერს-დანლოს სინდრომი ან ჰერნიოზი, განიხილება იმ დაავადებებთან ერთად, როგორიცაა სეინტის ტრიადა (საყლაპავის ხვრელის თიაქარი, მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზი, ნალვლის ბუშტის კენჭები).[25] [26]
- დივერტიკულის ინფექცია შეიძლება გახდეს ანთების მიზეზი, რომელიც დივერტიკულიტს გამოიწვევს.
- მასპინძლის იმუნური პასუხის და მიკრობიომის დერეგულაცია, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს დივერტიკულოზის და დივერტიკულიტის განვითარებას.[27]

არ არსებობს იმ თეორიული ჰიპოთეზის მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც საკვებად მიღებული თესლები და თხილი გროვდება დივერტიკულუმში და იწვევს დივერტიკულიტის ეპიზოდს.

პათოფიზიოლოგია

ბოჭკოებით ღარიბი დიეტა ახანგრძლივებს ნაწლავში საკვების გადაადგილების დროს და ამცირებს განავლის მოცულობას, რაც ამცირებს სანათურისშიდა წნევას და ნაწლავის სეგმენტაციას, რაც თავისმხრივ ხელს უწყობს დივერტიკულის ჩამოყალიბებას.[28][29] თუმცა, ზუსტი მექანიზმი არ არის ცნობილი და ეს კონცეფცია ვერ ხსნის, თუ რატომ არის გავრცელებული მარჯვენამხრივი დაავადება აღმოსავლეთში. სიგმოიდური ნაწლავი ყველაზე ხშირად ზიანდება მცირე დიამეტრის გამო.

ნაწლავის დივერტიკული რეალურად "ფსევდოდივერტიკულაა" (შედგება ლორწოვანი და ლორწვევმა შრეებისგან) და ხშირად გვხვდება ნაწლავის მარყუქებს შორის, სადაც სავარაუდოდ სუსტი ადგილებია და ნაწლავის სისხლძარღვები შედიან ნაწლავის კედელში. ცირკულარული კუნთების გასქელება და ფასციის შემოკლება რეალური კუნთის ჰიპერტროფიის გარეშე გამოწვეულია ელასტინის ჭარბი დეპონირებით კუნთის უჭრედებსა და მსხვილი ნაწლავის ფასციაში. აზოტის ოქსიდი გავლენას ახდენს წრიული კუნთის ელასტიურობაზე და სავარაუდოდ იწვევს ნაწლავის კედლის სეგმენტაციას დივერტიკულოზის დროს.[30]

საკვების ჩაჭედილი ნაწილაკები ან განავლოვანი მასები შეიძლება ხელს უწყობდნენ ინფექციის განვითარებას, რასაც ემატება სანათურის შიდა წნევის მომატება და შეიძლება განვითარდეს ანთება, იშემია და დივერტიკულის კედლის ნეკროზი, რაც პერფორაციით რთულდება.

I ან მეტი დივერტიკულის მიკროპერფორაციამ შეიძლება გამოიწვიოს ლოკალიზებული ფლევმონის ჩამოყალიბება. ეს შეიძლება იყოს შემოსაზღვრული აბსცესი (I სტადია), შორეული აბსცესი (II სტადია), გენერალიზებული პერიტონიტი (III სტადია) ან თავისუფალი პერფორაცია და განავლოვანი პერიტონიტი (IV სტადია).[3]

კლასიფიკაცია

კლინიკური კლასიფიკაცია

ამჟამად არ არსებობს დივერტიკული დაავადების უნივერსალურად მიღებული კლინიკური კლასიფიკაცია. თუმცა, ხშირად გამოიყენება ჩამოთვლილი კლინიკური დაყოფა:[1] [2]

- უსიმპტომო დივერტიკულოზი: როგორც წესი, შემთხვევით ვლინდება კოლონოსკოპიით, ბარიუმის ოყნით ჩატარებული კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კოლონოგრაფიით ან მუცლის და/ან მენჯის ღრუს კომპიუტერულ-ტომოგრაფიული სკანირებით.
- სიმპტომური გართულებული დივერტიკული დაავადება: იგივე მტკივნეული დივერტიკული დაავადება; ხშირად ხასიათდება მუცლის მარცხენა ქვედა კვადრანტის ეპიზოდური, კოლიკის მსგავსი ტკივილით, რომელსაც ახლავს ან არ ახლავს სხვა არასპეციფიკური სიმპტომები, როგორიცაა შებერილობა, ყაბზობა ან დიარეა. სიმპტომები შეიძლება იყოს განმეორებითი.
- გართულებული დივერტიკული დაავადება: ყველაზე ხშირი გართულება მწვავე დივერტიკულიტი. სხვა გართულებებია: პემორაგია, აბსცესი, სეგმენტური კოლიტი, დივერტიკულის ფლევმონა, პერფორაცია, პერიტონიტი, ფისტულა, სტრიქტურა და ობსტრუქცია.

მწვავე დივერტიკულიტის სიმძიმის ხარისხი განისაზღვრება ჰინჩის კლასიფიკაციის გამოყენებით:[3]

- I სტადია: მცირე ზომის ან შემოსაზღვრული პერიკოლიკური ან მეგენტერული აბსცესი.
- II სტადია: დიდი ზომის პერიკოლიკური აბსცესი, ხშირად ვრცელდება მენჯის ღრუში.
- III სტადია: პერფორირებული დივერტიკულიტი, რომლის დროსაც პერიდივერტიკული აბსცესი განიცდის პერფორაციას და იწვევს ჩირქოვან პერიტონიტს.

- IV სტადია: პერფორირებული დივერტიკულიტი, რომლის დროსაც გვხვდება თავისუფალი პეროფრასია და ასოცირებულია განავლოვან პერიტონიტთან.

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

57 წლის ქალბატონს, რომელსაც ანამნეზში ჰიპერტენზია და ჰიპერქოლესტეროლეμία აქვს, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში ათავსებენ მუცლის ქვედა მარცხენა კვადრანტის პროგრესირებადი ტკივილის, გულისრევისა და ღებინების 24-საათიანი ჩივილების გამო. აღნიშნულ ეპიზოდამდე პაციენტს არ ჰქონია მნიშვნელოვანი გასტროინტესტინური პრობლემები, ზოგჯერ აწუხებდა მსუბუქი ყაბზობა და ზოგჯერ, მძიმე დისპეპსია საკვების მიღების შემდეგ. პაციენტი თვლის, რომ ცხელებაც აწუხებს, თუმცა ტემპერატურა არ გაუზომავს. ოჯახურ ანამნეზში არ გვხვდება გასტროინტესტინური დაავადებები.

შემთხვევის ანამნეზი #2

32 წლის მამაკაცს, რომელსაც სიმსუქნე აწუხებს და სხვა მხრივ ჯანმრთელია, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში აღენიშნება მუცლის მარჯვენა ქვედა ნაწილის მწვავე ტკივილი, რომელიც 2 საათის წინ დაიწყო. პაციენტს გადატანილი არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი ავადმყოფობა. აწუხებს ხმამაღალი ხვრინვა, სავარაუდო აწუხებელი ძილის დროს და ჭარბი წონა.

სხვა გამოვლინებები

მარჯვენამხრივი დივერტიკული დაავადება უფრო ხშირია აზიელ მოსახლეობებში. მისი გამოვლინება ხშირად გავს მწვავე აპენდიციტს, მაგრამ ჩვეულებრივ, პაციენტები არ უჩივიან რაიმე პროდრომულ სიმპტომებს, როგორც მწვავე აპენდიციტის შემთხვევაში. დამახასიათებელი სიმპტომებია მწვავე აბდომინური ტკივილი ქვედა მარჯვენა კვადრანტში და მტკივნეულობა მაკბურნის წერტილის ლატერალურად. სიმპტომებს მიეკუთვნება ცხელება, გულისრევა და ღებინება. გართულებული მარჯვენამხრივი დივერტიკულიტის დროს, პაციენტებს შეიძლება ჰქონდეთ მტკივნეული პალპირებადი მასა მუცლის მარჯვენა ქვედა ნაწილში ან პერიტონიტის ნიშნები. დივერტიკული დაავადების დამახასიათებელი სიმპტომი ასევე შეიძლება იყოს სისხლდენა სწორი ნაწლავიდან.

პაციენტის ისტორია: მარჯვენამხრივი დივერტიკული დაავადება.

53 წლის ასლანი წარმოდგენილია სასწრაფო დახმარების განყოფილებაში 3 დღის განმავლობაში მუცლის მარჯვენა ქვედა ნაწილში მწვავე ტკივილის გამო. ის არ აღნიშნავს რაიმე პროდრომულ სიმპტომებს. გასინჯვისას მას აქვს ცხელება და მარჯვენამხრივი მუცლის ტკივილი მაკბურნის წერტილის ლატერალურად, ასევე ხველის დროს ტკივილი დადებითია.

პაციენტის ისტორია: სისხლმდენი დივერტიკული დაავადება

75 წლის მამაკაცი, რომელსაც ანამნეზში აქვს ჰიპერტენზიის და გულის იშემიური დაავადება, აღნიშნავს სწორი ნაწლავიდან სისხლდენის 2-დღიანი ისტორია. 1 კვირის წინ მას ჰქონდა შეკრულობა და მუცლის ქვედა მარცხენამხრივი ტკივილი. მას არ აქვს ცხელება, გულისრევა ან ღებინება, მაგრამ გრძნობს დაღლილობას და ლეთარგიას.

მიდგომა

დივერტიკულურ დაავადებაზე განსაკუთრებული ყუვი უნდა მივიტანოთ 40 წელს გადაცილებულ პირებში, რომელთაც აღენიშნებათ მუცლის მარცხენა ქვედა კვადრანტის ტკივილი და მტკივნეულობა, ცხელებით ან მის გარეშე. ატიპური გამოვლინებაა მუცლის ქვედა მარჯვენამხრივი ტკივილი, რომელიც ასოცირებულია მარჯვენამხრივ დივერტიკულოზთან და გვხვდება უფრო ახალგაზრდა, ჭარბწონიან პაციენტებში.

გასინჯვით მიღებული მონაცემები დამოკიდებულია დაავადების კლინიკურ ტიპსა და სიმძიმეზე. გართულებული დივერტიკულური დაავადების შემთხვევაში, განსაკუთრებით თუ ვლინდება დივერტიკულიტი და/ან აბსცესი, ვლინდება პერიტონიზმის ნიშნები (უკუცემითი ტკივილი, რიგიდობა) და შეიძლება პალპირებადი იყოს მტკივნეული წარმონაქმნი.

ყველა შემთხვევაში საჭიროა სისხლის საერთო ანალიზი ნეიტროფილიის ან ანემიის გამოსავლენად და ანთების მარკერების შემოწმება, მათ შორის ტესტირება C-რეაქტიულ ცილაზე.

სისხლის კულტურა უნდა გავითვალისწინოთ სისტემური სეფსისის ნიშნებისა და სიმპტომების მქონე პაციენტებში, მძიმედ ავადმყოფ პაციენტებში ან გართულებების არსებობისას (მაგ. პერფორაცია, ფისტულა, ფლევმონა).

მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია არის მწვავე დივერტიკულიტის და გართულებული დივერტიკულური დაავადების უპირატესი რადიოლოგიური გამოსაკვლევი მეთოდი, რომელმაც ღიძილად ჩაანაცვლა საკონტრასტო ნივთიერებით ოცნის გამოყენება.[42] [43] CT სკანირებით შეიძლება გამოვლინდეს ანთების ნიშნები, მათ შორის პერიკოლიკური ცხიმის ჩალაგება მწვავე დივერტიკულიტის დროს. ასევე შესაძლებელია გამოვრიცხოთ გართულებები, როგორია პერი და პარაკოლიკური აბსცესები და ფლევმონა.

რექტული სისხლდენის შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ადრეული კოლონოსკოპია ან დრეკადი სიგმოიდოსკოპია.

ასიმპტომური პაციენტები

უსიმპტომო დივერტიკულოზს ხშირად შემთხვევით აღმოაჩენენ, სკრინინგულ კოლონოსკოპიის ან ბარიუმიტ კვლევის დროს (სხვა ჩვენებით). უსიმპტომო პაციენტებში გასინჯვა და სისხლის ანალიზი ძირითადად ნორმაშია.

სიმპტომური, არამწვავე პაციენტები

სიმპტომური დივერტიკულური დაავადების მქონე პაციენტებს შეიძლება აღენიშნოთ მუცლის ქვედა მარცხენა კვადრანტის ტკივილი, ცხელება, შებერილობა, ყაბზობა და დიარეა.[29] გაურთულებელი სიმპტომური დაავადების შემთხვევაში, სისხლის ანალიზი ძირითადად ნორმაშია.

მწვავე მუცელი/ტკივილი

მწვავე დივერტიკულიტის მქონე პაციენტებში მტკივნეულობა, უკუცემითი ტკივილი და გარდინგი შეიძლება აღინიშნოს მუცლის ქვედა მარცხენა კვადრანტში. თავისუფალი პერფორაციისა და გენერალიზებული პერიტონიტის შემთხვევაში ვლინდება მუცლის დიფუზური მტკივნეულობა. აბსცესის წარმოქმნის შემთხვევაში შეიძლება პალპირებადი იყოს წარმონაქმნი. დამხმარე ნიშანია მენჯის მტკივნეულობა (სწორი ნაწლავის თითოთ გასინჯვისას).

მწვავე დივერტიკულიტის დროს სისხლის საერთო ანალიზი ლეიკოციტური ფორმულით ავლენს პოლიმორფონუკლუარ ლეიკოციტოზს. როდესაც ლეიკოციტოზი ვლინდება ხანდაზმულ პაციენტებში, რომელთაც დივერტიკულოზის ანამნეზი აქვთ, დიაგნოზი სავარაუდოდ მწვავე დივერტიკულიტი იქნება.

მარჯვენამხრივი დივერტიკულიტი შესაძლოა გავდეს მწვავე აპენდიციტს, მაგრამ პაციენტებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღწერონ აპენდიციტის პროდრომული სიმპტომები.[44]

რადიოლოგიური კვლევები მწვავე მუცლის/ტკივილის დროს

მწვავე დივერტიკულიტის შესაძლო შემთხვევებში კტ სკანირება უპირატესი დიაგნოსტიკური მეთოდია კლინიკური ეჭვის დასადასტურებლად და დივერტიკულიტის გართულებების გამოსარიცხად.[42] [43] [45] ექიმთა ამერიკული კოლეჯი (ACP) რეკომენდაციას უწევს მუცლის ღრუს CT სკანირებას პაციენტებთან, ვისთანაც არის ეჭვი მსხვილი ნაწლავის მწვავე მარცხენამხრივ დივერტიკულიტზე და დიაგნოსტიკური გაურკვევლობაა.[46] თუმცა, ამერიკის გასტროენტეროლოგიური ასოციაცია (AGA) მუცლის ღრუს რუტინულ CT კვლევას რეკომენდაციას მხოლოდ იმ პაციენტებთან უწევს, რომლებსაც რადიოლოგიური გამოსახულებით დადასტურებული მწვავე დივერტიკულიტის დიაგნოზი არასდროს ჰქონიათ.[43]

იმ შემთხვევაში, თუ კტ სკანირება ვერ ტარდება, ალტერნატივას წარმოადგენს მუცლის ულტრაბგერა ან ერთჯერადი საკონტრასტო ოცნა. კიდევ ერთი ვარიანტია მუცლის რენტგენი, რომელზეც შეიძლება გამოვლინდეს პნევმოპერიტონიუმი, ილუესი და სიმკვრივეები რბილ ქსოვილებში. მუცლისა და გულმკერდის რენტგენი გამოსადეგია მწვავე მუცლის მსგავსი სხვა მდგომარეობების გამოსარიცხად, რადგანაც ნაწლავის პერფორაციის შემთხვევაში რენტგენზე გამოჩნდება თავისუფალი ჰაერი მუცელში.

შეზღუდული დრეკადი სიგმოიდოსკოპია ჰაერის შეყვანის გარეშე დაგვეხმარება პერფორირებული რექტოსიგმოიდური კარცინომის გამოვლენაში, რომელიც მწვავე დივერტიკულიტს წააგავს. დრეკადი სიგმოიდოსკოპია ან კოლონოსკოპია შეიძლება განვიხილოთ როცა დივერტიკულიტის დაავადების დიაგნოზი ნათელი არ არის ან ეჭვია კიბოზე ან ნაწლავის იშემიაზე. ამ ენდოსკოპიური პროცედურების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო პერფორაციის თავიდან ასაცილებლად.

მსხვილი ნაწლავის მარცხენამხრივი დივერტიკულიტის გართულებული ეპიზოდის შემდეგ ACP რეკომენდაციას უწევს პაციენტების რეფერალს კოლონოსკოპიაზე, თუ ამ პაციენტებს კოლონოსკოპია არ ჩატარებიათ. ეს საჭიროა კოლორექტული კიბოს ან მსხვილი ნაწლავის შორსნასული ნეოპლაზიის გამოსარიცხად, თუ დიაგნოსტიკური გაურკვევლობაა.[47] თუმცა, AGA კოლონოსკოპიას რეკომენდაციას უწევს გართულებული დივერტიკულიტის ეპიზოდის შემდეგ და გაურთულებელი დივერტიკულიტის პირველი ეპიზოდის შემდეგ. AGA თვლის, რომ კოლონოსკოპია შეიძლება გადაიდოს, თუ მაღალი ხარისხის კოლონოსკოპია ბოლო პერიოდში (1 წლის განმავლობაში) ჩატარებულია.[43]

მწვავე სისხლდენა

დივერტიკულიტის სისხლდენა, როგორც წესი, უეცრად იწყება, უმტკივნეულოა და წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქვედა ნაწილის პროფუზულ, არტერიულ სისხლდენას. დივერტიკულიტის დაავადება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქვედა განყოფილებების სისხლდენის ყველაზე ხშირი მიზეზია ხანდაზმულ პაციენტებში და, როგორც წესი, გამომწვეულია მარჯვენამხრივი დივერტიკულების სისხლდენით, განსაკუთრებით აზიელ პაციენტებში.[40]

კოლონოსკოპია შეიძლება გამოყენებულ იქნას ზუსტი დიაგნოსტიკისთვის მწვავე სისხლდენის დროს.[40] [48] თუ სისხლდენა იმდენად პროფუზულია, რომ შეუძლებელია მისი კოლონოსკოპიით იდენტიფიცირება, განხილულ უნდა იქნას CT ანგიოგრაფია.[40]

დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია

თუ პირველადი დიაგნოზი კვლავ უცნობია, ტარდება დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია, რომელმაც შესაძლოა თერაპიული მიდგომის საშუალებაც მოგვცეს.

მიმოხილვითი ლაპაროტომია

თ დიაგნოზი გაურკვეველია, შესაძლოა აუცილებელი იყოს მიმოხილვითი ლაპაროტომია.

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

რისკ-ფაქტორების არსებობა (ხშირი)

- რისკფაქტორებია საკვები ბოჭკოს დაბალი რაოდენობით მიღება და ასაკი > 50 წელი.

მუცლის მარცხენა ქვედა კვადრანტის ტკივილი (ხშირი)

- შეიძლება იყოს მსუბუქი გაურთულებელი დივერტიკული დაავადების შემთხვევაში.
- გვხვდება მწვავე დივერტიკულიტის მქონე პაციენტების დაახლოებით 70%-თან.^[29]

ლეიკოციტოზი (ხშირი)

- მწვავე დივერტიკულიტის კარგი ჩვენებაა, როდესაც ასაკოვან პაციენტებში აღინიშნება დივერტიკულოზის ისტორია.

ცხელება (ხშირი)

- დივერტიკულიტის ეპიზოდს ხშირად ახლავს სუბფებრილური ცხელება.

სწორი ნაწლავიდან სისხლდენა (იშვიათი)

- ძირითადად უეცარი, უმტკივნეულო, პროფუზული, არტერიული სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ქვედა ნაწილიდან; მწვავე დივერტიკული დაავადების გართულება.

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები

გარდინგი (მუცლის დაცვითი რეფლექსი) მარცხენა ქვედა კვადრანტში (ხშირი)

- მწვავე დივერტიკულიტის შემთხვევაში.

მტკივნეულობა მარცხენა ქვედა კვადრანტში (ხშირი)

- მწვავე დივერტიკულიტის შემთხვევაში.

შებერილობა (ხშირი)

- მუცლის შებერვა ხშირად აწუხებთ დივერტიკული დაავადების მქონე პაციენტებს.

შეკრულობა (ხშირი)

- დივერტიკული დაავადების მქონე პაციენტებს ხშირად აწუხებთ ყაბზობის პერიოდები, რომლებიც დიარეის პერიოდებს ანაცვლებენ.

მენჯის მტკივნეულობა რექტული გასინჯვისას (ხშირი)

- შეიძლება გამოვლინდეს, განსაკუთრებით მწვავე დივერტიკულიტის დროს.

მუცლის დიფუზური მტკივნეულობა (იშვიათი)

- თავისუფალი პერფორაციისა და გენერალიზებული პერიტონიტის შემთხვევაში.

ღიარება (იშვიათი)

- დივერტიკული დაავადების მქონე პაციენტებს ხშირად აწუხებთ ღიარების პერიოდები, რომლებიც ყაბზობის პერიოდებს ანაცვლებენ.

პალპირებადი წარმონაქმნი მუცელში (იშვიათი)

- შეიძლება მიუთითებდეს აბსცესზე.

რისკფაქტორები

ძლიერი**ბოჭკოს ნაკლებობა დიეტაში**

- მტკიცებულება მეტწილად ობსერვაციულ კვლევებს ეფუძნება.[31] [32] [33] ბოჭკოს დაბალი რაოდენობით მიღება იწვევს განავლის წონის შემცირებას და ნაწლავებში ახანგრძლივებს მის გადაადგილებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სეგმენტური წნევის გაძლიერებას მსხვილ ნაწლავში და დივერტიკულის ჩამოყალიბებას.[28] [29]

ასაკი >50 წელი

- ყველაზე ძლიერი რისკფაქტორია. დივერტიკული დაავადების ინციდენტობა იმატებს ხანდაზმულებში. დაავადება ძალზე იშვიათია ბავშვებში.[4] ეს შეიძლება აიხსნას ნაწლავის კედლების მექანიკური ძალის დაქვეითებით. კოლაგენის სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ნაწლავის კედლის სიძლიერის ასაკობრივ კლებასთან.[34]

სუსტი**საკვები რაციონი, რომელიც მდიდარია მარილით, ხორციით და შაქრით**

- დივერტიკულოზის ინციდენტობის მატებასთან ასოცირებულია მარილით, ხორციითა და შაქრით მდიდარი კვების რაციონი. ასეთი ტიპის კვების რაციონი იწვევს განავლის წონის შემცირებას და ნაწლავებში ახანგრძლივებს მის გადაადგილებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სეგმენტური წნევის გაძლიერებას მსხვილ ნაწლავში და დივერტიკულის ჩამოყალიბებას.[28] [29]

სიმსუქნე (BMI > 30)

- სიმსუქნე წინაგანმწყობი ფაქტორია.[19]
- სხეულის მასის ინდექსის ზომიერმა მატებამ შესაძლოა გაზარდოს დივერტიკული დაავადების და მისი გართულებების რისკი.[20] პერფორაციები და მორეციდივე დივერტიკულიტები უფრო ხშირია 30-ზე მეტი BMI-ის მქონე ადამიანებში და მათ აქვთ დივერტიკული სისხლდენის გაზრდილი რისკი.[35] [36]

ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებას(NSAID)

- ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების გამოყენებასა და მსხვილი ნაწლავის დივერტიკულის პერფორაციას შორის არსებობს ძლიერი კავშირი.[37] NSAID-ები ასევე ასოცირებულია დივერტიკულურ სისხლდენასთან.[38] [39] [40]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
სისხლის საერთო ანალიზი • პოლიმორფონუკლეური ლეიკოციტოზი გვხვდება მწვავე დივერტიკულიტის დროს.[49] როდესაც ლეიკოციტოზი ვლინდება ხანდაზმულ პაციენტებში, რომელთაც ანამნეზში დივერტიკულოზი აქვთ, დიაგნოზი სავარაუდოდ მწვავე დივერტიკულიტი იქნება. სისხლის საერთო ანალიზის შედეგები უნდა განიხილებოდეს დივერტიკულიტზე ეჭვის გაჩენისთანავე.	პოლიმორფონუკლეური ლეიკოციტოზი
CRP • ანთების გამოსადეგი ბიომარკერი.[50] როდესაც პაციენტის C რეაქტიული ცილა არის ≥ 170 მგ/ლ, იმატებს ქირურგიული ჩარევის ან პერკუტანული ინტერვენციის საჭიროების ალბათობა.[51]	მომატებულია

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
მუცლის ღრუს კტ სკანირება - უპირატესი რადიოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც დასტურდება მწვავე დივერტიკულიტის ან გართულებული დივერტიკული დაავადების საეჭვო შემთხვევა.[42] [43] [52] ექიმთა ამერიკული კოლეჯი რეკომენდაციას უწევს მუცლის ღრუს CT სკანირებას პაციენტებთან, ვისთანაც არის მსხვილი ნაწლავის მწვავე მარცხენამხრივ დივერტიკულიტზე ეჭვი და დიაგნოსტიკური გაურკვევლობა.[46] თუმცა, ამერიკის გასტროენტეროლოგიური ასოციაცია მუცლის ღრუს რუტინულ CT კვლევას რეკომენდაციას უწევს მხოლოდ იმ პაციენტებთან, რომლებსაც მწვავე დივერტიკულიტის რადიოლოგიური გამოსახულებით დადასტურებული დიაგნოზი არასდროს ჰქონიათ.[43] - იდეალურ შემთხვევაში, CT კვლევა ინტრავენური კონტრასტით უნდა ჩატარდეს.[42] [43] [52] დაგვეხმარება განვსაზღვროთ მედიკამენტური და ქირურგიული მკურნალობის საჭიროება. ასევე დგინდება ჰოსპიტალიზაციის საკითხი.[42] დაგვეხმარება მწვავე დივერტიკულიტის გართულებების გამოსარიცხად.[2] [42]	ნაწლავის კედლის გასქელება, წარმონაქმნი, აბსცესი, ხაზოვანი მეზენტერული ცხიმო; შეიძლება გამოვლინდეს აირი შარდის ბუშტში (ფისტულა)
სისხლის კულტურა უნდა გავითვალისწინოთ სისტემური სეფსისის ნიშნებისა და სიმპტომების მქონე პაციენტებში, მძიმედ ავადმყოფ პაციენტებში ან გართულებების არსებობისას (მაგ. პერფორაცია, ფისტულა, ფლევმონა).	ძირითადად ითვლება გრამუარყოფითი ჩხირები და ანაერობული ბაქტერია; ნიმუში აიღეთ ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყებამდე
მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია განიხილება მწვავე დივერტიკულიტზე ეჭვის შემთხვევაში.	პნევმოპერიტონეუმი, ილუესი, სიმკვრივე რბილ ქსოვილებში; თავისუფალი ჰაერი ნაწლავის პერფორაციის დროს
მუცლის ულტრაბგერა (კომპრესიის მეთოდით) განსახილველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპიუტერული ტომოგრაფია ვერ ტარდება. ულტრაბგერითი კვლევით შეიძლება გამოგვჩვენოს გართულებული დივერტიკულიტი.[45]	აბსცესის, პერფორაციის, ობსტრუქციის ნიშნები
მუცლის MRI გამოიყენება მწვავე გართულებული დივერტიკულიტის საეჭვო შემთხვევის კვლევის მიზნით, როდესაც კომპიუტერული ტომოგრაფია ვერ ტარდება.[42] [45] [52]	დივერტიკულის, მსხვილი ნაწლავის შესქელების, პერიკოლიკური ცხიმოვანი ინფილტრაციის და აბსცესის არსებობა
გულმკერდის რენტგენი გამოიყენება შესაძლო პნევმოპერიტონეუმის შესაფასებლად ადამიანებში, რომლებშიც ეჭვი გვაქვს პერფორაციის არსებობაზე.	ნორამლური ან თავისუფალი ჰაერი დიაფრაგმის ქვეშ პერფორაციის შემთხვევაში
საკონტრასტო ოყნა გამოიყენება მწვავე დივერტიკულიტის დროს, თავდაპირველი მწვავე სიმპტომების ალავების შემდეგ დიაგნოზის დასადასტურებლად. სტანდარტულ ბარიუმთან შედარებით უპირატესია წყალში ხსნადი საკონტრასტო ოყნა.	დივერტიკულები, აბსცესი, პერფორაცია, ობსტრუქცია, ფისტულა

ტესტი	შედეგი
კოლონოსკოპია - გამოიყენება როცა დივერტიკული დაავადების დიაგნოზი ნათელი არ არის და ეჭვია კიბოზე ან ნაწლავის იშემიაზე. შეიძლება გამოვიყენოთ მწვავე სისხლდენის დროს სადიაგნოსტიკოდ.[40] - ეჭიმთა ამერიკული კოლეჯი რეკომენდაციას უწევს პაციენტების კოლონოსკოპიაზე რეფერალს მსხვილი ნაწლავის მარცხენამხრივი დივერტიკულიტის გართულებული ეპიზოდის შემდეგ, თუ ამ პაციენტებს ბოლო პერიოდში კოლონოსკოპია არ ჩატარებიათ. ეს საჭიროა კოლორექტული კიბოს ან მსხვილი ნაწლავის შორსნასული ნეოპლაზიის გამოსარიცხად, თუ დიაგნოსტიკური გაურკვევლობაა.[47] თუმცა, ამერიკის გასტროენტეროლოგიური ასოციაცია რეკომენდაციას უწევს კოლონოსკოპიას გართულებული დივერტიკულიტის ეპიზოდის შემდეგ და გაურთულებული დივერტიკულიტის პირველი ეპიზოდის შემდეგ. AGA თვლის, რომ კოლონოსკოპია შეიძლება გადაიდოს, თუ მაღალი ხარისხის კოლონოსკოპია ბოლო პერიოდში (1 წლის განმავლობაში) ჩატარებულია.[43] პროცედურის დროს დიდი სიფრთხილვა საჭიროა პერფორაციის თავიდან ასაცილებლად.	ცალკეული, მრავლობითი ან გაფანტული დივერტიკულები, ლორწოვანის მწვავე ანთებით ან მის გარეშე; მწვავე სისხლდენის დროს შეიძლება გამოვლინდეს სევმენტური სისხლდენის წყარო ან სისხლდენის პროქსიმული საზღვარი; შეიძლება გამოვლინდეს ლორწოვანის თანმხლები პათოლოგია, როგორიცაა იშემია, ნაწლავის ანთებითი დაავადება და სიმსივნე
სიგმოიდოსკოპია გამოიყენება როცა დივერტიკული დაავადების დიაგნოზი ნათელი არ არის და ეჭვია კიბოზე ან ნაწლავის იშემიაზე. შეზღუდული დრეკადი სიგმოიდოსკოპია ჰაერის შეყვანის გარეშე დაგვეხმარება პერფორირებული რექტოსიგმოიდური კარცინომის გამოვლენაში, რომელიც მწვავე დივერტიკულიტს წააგავს. შეიძლება გამოვიყენოთ სწორი დიაგნოსტიკისთვის მწვავე სისხლდენის. პროცედურის დროს დიდი სიფრთხილვა საჭიროა პერფორაციის თავიდან ასაცილებლად.	ლორწოვანის პათოლოგია, როგორიცაა იშემია, ნაწლავის ანთებითი დაავადება და სიმსივნე
ანგიოგრაფია გამოიყენება მწვავე სისხლდენის დროს.[40] განიხილება, თუ სისხლდენა იმდენად პროფუზულია, რომ კოლონოსკოპიით შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება.	დგინდება სისხლდენის ეტიოლოგია
დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია/მიმოხილვითი ლაპაროტომია განიხილება თუ პირველადი დიაგნოზი უცნობია.	დივერტიკულები, აბსცესი, პერფორაცია, ობსტრუქცია, ფისტულა

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ენდომეტრიოზი	• ღრმა, ქრონიკული ტკივილი მენჯის არეში; ტკივილი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ; მტკივნეული მენსტრუალური სისხლდენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე; ნაწლავების ციკლურად შეცვლილი მოქმედება მენსტრუალური სისხლდენის დროს; უნაყოფოება.	• ტრანსვაგინალური ულტრაბგერით კვლევა, ტრანსაბდომინალური ექოსკოპია ან მენჯის მრტ. შესაძლოა სადიაგნოსტიკო ლაპარასკოპია იყოს საჭირო საეჭვო შემთხვევებში, როდესაც სხვა ტესტების შედეგები ნორმალურია.
კოლორექტული სიმსივნე	• ანამნეზში ნაწლავების მოქმედების შეცვლა, ანემია, პოლიპები მსხვილ ნაწლავში და დადებითი ოჯახური ანამნეზი, რაც კოლორექტული კიბოზე მიუთითებს.	• CT სკანირებით ვლინდება კარცინომის ნიშნები: წარმონაქმნი, სტრუქტურა და ობსტრუქცია. • ანემია ხშირია ნაწლავური კიბოს დროს, ხოლო პოლიმორფონუკლეური ლეიკოციტოზი გვხვდება მწვავე დივერტიკულიტის დროს.[49]
აპენდიციტი	• მწვავე აპენდიციტის მქონე პაციენტები მეტწილად უფრო ახალგაზრდები არიან, ვიდრე მწვავე დივერტიკულიტის მქონე პაციენტები. პროდრომული სიმპტომების არსებობა. • აპენდიციტის დროს ტკივილი გვხვდება მუცლის მარჯვენა ქვედა კვადრანტში, ხოლო დივერტიკულიტის დროს - მარცხენა ქვედა კვადრანტში. გამონაკლისს წარმოადგენს უფრო იშვიათი, მარჯვენამხრივი დივერტიკულიტი.	• კომპიუტერულ-ტომოგრაფიულმა სკანირებამ შესაძლოა გამოავლინოს მწვავე აპენდიციტისთვის დამახასიათებელი ცვლილებები: მაგ, >6 მმ დიამეტრის ჭია ნაწლავი, რომელსაც ირგვლივ ახლავს ანთება.
წყლულოვანი კოლიტი	• ძირითადად ვლინდება უფრო ახალგაზრდებში, მაგრამ იზიციდენტობა ისევ მატულობს 70 წლის ასაკისთვის.[53] • წყლულოვანი კოლიტი უფრო ხშირად გვხვდება თეთრკანიან ადამიანებში, რომლებსაც წყლულოვანი	• მწვავე წყლულოვანი კოლიტის შემთხვევაში შეზღუდული დრეკადი სიგმოიდოსკოპია ადრეულ სტადიაზე ავლენს დიფუზურ ანთებას და დაწყულებას.[55] შემდგომში ტარდება კოლონოსკოპია და ბიოფსია. წყლულოვანი

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	კოლიტი აღენიშნებათ ოჯახურ ანამნეზში.[53] [54]	კოლიტის შემთხვევათა >65%-ში გვხვდება ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეულები.
კრონის დაავადება	- ძირითადად ვლინდება უფრო ახალგაზრდებში, მაგრამ ინციდენტობა ისევ მატულობს 70 წლის ასაკისთვის.[53] - კრონის დაავადება უფრო ხშირად გვხვდება თეთრკანიან ადამიანებში, რომლებსაც კრონის დაავადება აღენიშნებათ ოჯახურ ანამნეზში.[53] [54]	Saccharomyces cerevisiae- ის ანტისხეულები სისხლის ანტისხეულების ანალიზის დროს შესაძლოა კრონის დაავადებაზე მიუთითებდეს; შემდგომში ტარდება კოლონოსკოპია და ბიოფსია.
საშარდე გზების ინფექცია (UTI)	ხშირი შარდვა და შარდვის უცარი მოთხოვნილება. თან ახლავს მწველი ტკივილი, ღიზურია და ტკივილი მუცლის ქვედა არეში.	შარდის ანალიზი საშარდე გზების ინფექციის დროს ავლენს ლეიკოციტების მომატებულ რაოდენობას, ბაქტერიებს ან ნიტრიტების არსებობას.
პიელონეფრიტი	ცხელება, ჟრჟოლა, ლეიკოციტოზი, ფერდქვემა ტკივილი და თირკმლის მტკივნეულობა.	შარდის ანალიზი პიელონეფრიტის დროს ავლენს ლეიკოციტების მომატებულ რაოდენობას, ბაქტერიებს ან ნიტრიტების არსებობას.
იშემიური კოლიტი	უმეტესად გვხვდება ხანდაზმულებში, რომელთაც აღენიშნებათ გენერალიზებული ათეროსკლეროზი და ვლინდება მუცლის ტკივილითა და სწორი ნაწლავიდან სისხლდენით.	- მუცლის რენტგენზე შეიძლება გამოვლინდეს ნაწლავის კედლის შეშუპება და წერტილოვანი წყლულები მარჯვენა ნაწლავში იშემიური კოლიტის ფონზე. - იშემიური კოლიტის დროს CT სკანირება უფრო დეტალურად ავლენს მსგავს ცვლილებებს. დიაგნოზს ადასტურებს ანგიოგრაფია. - შეზღუდული დრეკადი სიგმოიდოსკოპია ჰაერით გაბერვის გარეშე შეიძლება დაგვეხმაროს იშემიური ლორწოვანის გამოსავლენად.
მენჯის ანთებითი დაავადება	გამონადენი შარდსადინრიდან/ საშოდან, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციის მტკიცებულება;	პირდაპირი მიკროსკოპიით, კულტურით ან სხვა ტესტებით მიკროორგანიზმების

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	საშვილოსნოს ყელის გამოძრავებისას ტკივილი.	იზოლირება შარდსადინრის/ საშოს ნაცხებიდან.
ნაწლავების გაღიზიანების სინდრომი	ძირითადად გვხვდება ახალგაზრდა პაციენტებში, რომელთაც რომის IV კრიტერიუმები აღენიშნებათ და სისტემური ავადმყოფობის ნიშნები არ აქვთ.[56]	ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევები ნორმაშია.

მიდგომა

უსიმპტომო დივერტიკულოზი

უსიმპტომო დივერტიკულოზი, რომელიც შემთხვევით დგინდება, არ საჭიროებს მკურნალობას. არსებობს მტკიცებულებები, რომ ამ პაციენტებში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს საკვებით მეტი ბოჭკოს მიღება, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის, რაც ამცირებს სიმპტომური დივერტიკულიტის განვითარების რისკს.[33] [41] [57] არ არის საჭირო, რომ პაციენტები მოერიდონ თესლების, თხილეულის, პოპკორნის ან ხილის ქერქის მირთმევას. საკვებში ბოჭკოს მიღების გაზრდამ შესაძლოა ეტაპობრივად შეამციროს შებერილობა.[52] პაციენტებს უნდა ვურჩიოთ შეწყვიტონ მოწევა და დაიკლონ წონა, თუ აქვთ ჭარბწონიანობა ან სიმსუქნე.[45] [52]

სიმპტომური დივერტიკული დაავადება

მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტებში (მაგ. მორეციდივე ტკივილი მარცხენა ქვედა კვადრანტში, შებერილობა, ყაბზობა), მკურნალობა გულისხმობს დიეტის მოდიფიკაციას, განსაკუთრებით ბოჭკოვანი დანამატების გაზრდას რამდენიმე კვირის განმავლობაში და ჰიდრატაციის გაძლიერებას.[52] [57] [58]

თუ არსებობს ინფექციის მტკიცებულება და/ან არსებობს ეჭვია ჭარბ ბაქტერიულ ზრდაზე, ხშირად ინიშნება ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები, რომლებიც ფარავენ როგორც გრამ-დადებით, ასევე გრამ-უარყოფით და ანაერობულ ბაქტერიებს; თუმცა, არსებობს ფსევდომემბრანული კოლიტის რისკი.[59]

სიმპტომური დივერტიკულიტი (გაურთულებელი)

სიმპტომური დივერტიკულიტის მკურნალობის ძირითადი მიზნებია ინფექციის აღმოფხვრა, ტკივილის გაყუჩება და გართულებების პრევენცია.

გაურთულებელი დივერტიკულიტის მქონე პაციენტებს არ აღენიშნებათ მწვავე მუცლის რაიმე სიმპტომი (ე.ი. მძიმე მწვავე ტკივილი მუცლის არეში, მუცლის მტკივნეულობა დეფანსით ან მის გარეშე, რაც პერიტონიზმზე მიუთითებს, მუცლის შებერილობა).

ტიპურ შემთხვევებში, იზლდება ისეთი საკვები, რომელიც ააქტიურებს ნაწლავს და არ შეიცავს ბოჭკოებსა და მოუნელებელ მასალას, რის გამოც რჩება მინიმალური ნარჩენი ნივთიერებები მონელებისა და აბსორბირების შემდეგ (მაგ. რაფინირებული პური, ბურლულეული, თეთრი ბრინჯი, ბოსტნეულისა და ხილის წვენი ნარჩენების გარეშე, რძის პროდუქტები). ის მცირე რაოდენობით შეიცავს ბოჭკოებს და მოუნელებელ ნივთიერებებს.

თუ პაციენტს აღენიშნება მუცლის ტკივილი, ცხელება და ლეიკოციტოზი, ხოლო კტ სკანირებით გამოირიცხება გართულებები, ინიშნება პერორალური ანტიბიოტიკები და შესაძლებელია უსაფრთხოდ მკურნალობა ბინაზე.[60] [61] ანტიბიოტიკები, ჩვეულებრივ, 7-10 დღის განმავლობაში გამოიყენება.[59] [62] ჯანდაცვისა და სამედიცინო დახმარების ეროვნული ინსტიტუტების რეკომენდაციაა ანტიბიოტიკების 5-დღიანი კურსი სანყის ეტაპზე, რომელიც კლინიკური შეფასების საფუძველზე შეიძლება გახანგრძლივდეს.[52]

თუ ცხელება და ლეიკოციტოზი 72 საათს პერსისტირებს ან ვლინდება მწვავე დივერტიკულიტის ან მწვავე მუცლის სიმპტომები, საჭიროა პაციენტის ჰოსპიტალიზება და ინტრავენური ანტიბიოტიკოთერაპია მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.[59] რეკომენდებულია ნაწლავის განტვირთვა დაბალნარჩენიანი დიეტით.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, დივერტიკულიტი შეიძლება იყოს ანთებითი და არა ინფექციური დაავადება და ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ანტიბიოტიკების საჭიროებას გაურთულებელი

დივერტიკულიტის დროს. კვლევების მეტა-ანალიზმა, რომლითაც ანტიბიოტიკებით მკურნალობა ანტიბიოტიკების გარეშე მკურნალობას შედარდა, აჩვენა, რომ გაურთულებელი დივერტიკულიტის მკურნალობა და მონიტორინგი ანტიბიოტიკებით ან მის გარეშე უსაფრთხო და ეფექტურია და რომ ქირურგიული ჩარევის საჭიროების პირველადი შედეგის თვალსაზრისით ობზერვაციული მართვა ანტიბიოტიკოთერაპიისაგან სტატისტიკურად არ განსხვავდებოდა.[63] [64] [65] კვლევების სისტემურმა მიმოხილვამ, რომლითაც გაურთულებელი დივერტიკულიტის მქონე პაციენტებთან ანტიბიოტიკებით მკურნალობა ანტიბიოტიკების გარეშე მკურნალობასთან შედარდა უშედეგო მკურნალობის, გეგმიური ქირურგიული ჩარევის, რეციდივის და მკურნალობის შემდგომი გართულებების რისკის თვალსაზრისით განსხვავება არ გამოვლინდა.[66] 5 რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევის შემზღუდულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარებული კოხრენის თანმიმდევრული მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ გაურთულებელი დივერტიკულიტის დროს ანტიბიოტიკების ეფექტი გაურკვეველია გართულებების (აღრეული და გრძელვადიანი), გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის, რეციდივის და მსხვილი ნაწლავის გეგმიური რეზექციის შემთხვევაში.[67]

გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის და სამედიცინო დახმარების დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტის (NICE), ამერიკის გასტროენტეროლოგიური ასოციაციის (AGA), მსხვილი ნაწლავისა და რექტალური ქირურგიების ამერიკული საზოგადოების (ASCRS), ექიმთა ამერიკული კოლეჯის (ACP) და გადაუდებელი ქირურგიული დახმარების მსოფლიო საზოგადოების (WSES) გაიდლაინების მიხედვით მწვავე გაურთულებელი დივერტიკულიტის მქონე პაციენტებთან, რომლებიც სისტემურად კარგად არიან და სხვაგვარად ჯანმრთელები არიან, ანტიბიოტიკები შერჩევითად და არა რუტინულად უნდა იქნას გამოყენებული.[43] [45] [46] [50] [52] [68]

ანტიბიოტიკოთერაპია უნდა დაიწყოს მაღალი რისკის პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ სისტემური ავადმყოფობის ნიშნები, მნიშვნელოვანი თანმხლები დაავადებები ან იმუნოსუპრესია.[45] [50] [52]

მწვავე მარჯვენამხრივი კოლიტის დივერტიკულიტის მართვა იმავე პრინციპებს მიჰყვება, რასაც მარცხენა მხრივი დაავადების მართვა.[50]

AGA რეკომენდაციას უწევს კოლონოსკოპიის გაურთულებელი დივერტიკულიტის ეპიზოდის შემდეგ, რათა გამოირიცხოს ავთვისებიანი სიმსივნე (რომელიც შეიძლება არასწორად იყოს დიაგნოზირებული როგორც დივერტიკულიტი). AGA აცხადებს, რომ კოლონოსკოპია შეიძლება გადაიდოს, თუ მაღალი ხარისხის კოლონოსკოპია ჩატარებულია ბოლო პერიოდში (1 წლის განმავლობაში).[43]

სიმპტომური დივერტიკულიტი (გართულებული)

დამატებით გამოკვლევებსა და მკურნალობას მოითხოვს გართულებები, როგორიცაა სისხლდენა, აბსცესი, ობსტრუქცია, პერფორაცია და ფისტულა. გართულებების შემთხვევაში საჭიროა ქირურგთან კონსულტაცია.

სისხლდენის საწყისი მკურნალობა მოცულობის დაქვეითების ან შოკის დროს არის ჰემოდინამიკური სტაბილობის შენარჩუნება სითხეების ინფუზიით და სისხლის გადასხმით. კოლონოსკოპია შეიძლება გამოვიყენოთ სწორი დიაგნოსტიკისა და ენდოსკოპური ჰემოსტაზისთვის, რაც შესაძლებელია პაციენტების უმეტესობაში.[40] ეს სარწმუნოდ ამცირებს ქირურგიული ჩარევის საჭიროებას; თუმცა, მისი მნიშვნელობა შემდგომი სისხლდენის პრევენციაში გაურკვეველია.[48] [69] [70] [71]

თუ სისხლდენა იმდენად ძლიერია, რომ კოლონოსკოპიით ინფორმაციას ვერ ვიღებთ, გამოვიყენებთ ანგიოგრაფიას ან იზოტოპით მონიშნული ერთთროციტების ბირთვული სკანირება და ანგიოგრაფიული ემბოლიზაციას. ქირურგიული ჩარევა შეიძლება განიხილებოდეს ენდოსკოპური და ანგიოგრაფიული ჰემოსტაზის მიუხედავად მნიშვნელოვანი სისხლდენის შემთხვევაში.

თუ აბსცესი ლოკალიზებულია (დიამეტრი <3 სმ), საჭირო არ არის დრენაჟი და მკურნალობა ანტიბიოტიკებით ტარდება.[52] [72] თუმცა, >3 სმ დიამეტრის აბსცესის შემთხვევაში, საუკეთესო მიდგომაა მისი დრენირება კანის გავლით, კომპიუტერული ტომოგრაფიის ან ულტრაბგერითი მეთვალყურეობის ქვეშ; თუ ეს ვერ ხერხდება, საჭიროა ქირურგიული ჩარევა.[2] [45] [52] აბსცესის კანქვეშა დრენაჟისთვის მუცლის CT კონტრასტით წარმოადგენს უპირატეს რადიოლოგიურ მიდგომას.

იმ შემთხვევაში, თუ პირველადი დიაგნოზი ნათელი არ არის, მიმოხილვით ლაპაროტომიამდე უნდა განვიხილოთ დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპიის საკითხი.

ადრეული ლაპაროსკოპიული გამოცდები უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება მწვავე დივერტიკულიტის სამკურნალოდ (ჰინჩის ხარისხები I, II, III). აღნიშნული მიდგომა მოიაზრება როგორც მედიკამენტური მკურნალობა და კანქვეშა დრენაჟი სეფსისის სამართავად საკმარისი არ არის.[69] [73] [74] [75] [76] [77] ამასთან, არსებობს მტკიცებულება, რომ ლაპარასკოპიული ამორეცხვა ჰინჩი III დივერტიკულიტის დროს სრულად ვერ აკონტროლებს ინფექციის წყაროს და განაპირობებს რეინტერვენციის მაღალმაჩვენებელს.[78]

მძიმე ან დიფუზური პერიტონიტის მქონე პაციენტებში შეიძლება საჭირო გახდეს ჰარტმანის პროცედურა, კოლექტომია პირველადი ანასტომოზით, ან გადაუდებელი კოლექტომია.[50] [52] [79] შერჩეული პაციენტებისთვის (ჰინჩი I, II, და III) და ქირურგიული ექსპერტიზის მოლოდინში, პირველადი ანასტომოზის მქონე ლაპარასკოპიული კოლექტომია ან / და ლაპარასკოპიული ჰარტმანის პროცედურა უსაფრთხოა და შეიძლება გააუმჯობესოს პოსტოპერაციული შედეგები. [Evidence C]

პაციენტმა უნდა განაგრძოს ინტრავენური ანტიბიოტიკების მიღება 7-10 დღიანი კურსით, კლინიკური გაუმჯობესების მიხედვით.

ACP მსხვილი ნაწლავის მარცხენამხრივი გართულებული დივერტიკულიტის ეპიზოდის შემდეგ პაციენტების კოლონოსკოპიაზე რეფერალს უწევს რეკომენდაციას, თუ ამ პაციენტებთან ბოლო პერიოდში კოლონოსკოპია არ ჩატარებულა. ეს საჭიროა კოლორექტული კიბოს ან მსხვილი ნაწლავის მორსნასული ნეოპლაზიის გამოსარიცხად, თუ დიაგნოსტიკური გაურკვევლობაა.[47] AGA რეკომენდაციას უწევს კოლონოსკოპიას გართულებული დივერტიკულიტის ეპიზოდის შემდეგ. AGA აცხადებს, რომ კოლონოსკოპია შეიძლება გადაიდოს, თუ მაღალი ხარისხის კოლონოსკოპია ჩატარებულია ბოლო პერიოდში (1 წლის განმავლობაში).[43]

მორეციდივე დივერტიკულური დაავადება

განმეორებითი დაავადების შემთხვევაში გეგმიური კოლექტომიის რეკომენდაციის კრიტერიუმები მკაცრად განსაზღვრული არ არის და არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ გადატანილი შეტევების რაოდენობას.[43] ნებისმიერი გადანაცვტილება ინდივიდუალურად უნდა იქნას მიღებული ასაკის, მორეციდივე სიმპტომების სისხშირის და სიმწვავის, წინა გართულებების, თანმხლები დაავადებების და პაციენტის პრეფერენციებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.[43] [45] [80] [81] დივერტიკულური აბსცესის მკურნალობისას გეგმიური რეზექცია უნდა განიხილებოდეს წარუმატებელი არაქირურგიული ჩარევის შემდეგ, ან პერსისტენტული სიმპტომების მქონე პაციენტებში ობსტრუქციის, სტრიქტურის ან ფისტულის გამო.[45] [52] ACP რეკომენდაციას უწევს, რომ განხილულ იქნას გეგმიური ქირურგიული ჩარევა პაციენტებთან, რომლებსაც აქვთ ხშირად განმეორებადი (ანუ ≥ 3 ეპიზოდი 2 წლის განმავლობაში) ან პერსისტირებადი (ანუ, 3 თვეზე მეტად გახანგრძლივებული) დივერტიკულიტი. რეკომენდებულია ერთობლივი გადანაცვტილების მიღება პაციენტის პრეფერენციების გათვალისწინებით.[47]

გეგმიურ პირობებში მსხვილი ნაწლავის ლაპარასკოპიული რეზექცია უსაფრთხოა, ახასიათებს სწრაფი გამოჯანმრთელება ოპერაციის შემდეგ და ნაკლები პოსტოპერაციული გართულებები, მათ შორის ქირურგიული ჭრილობის ინფიცირების კუთხით.[82] [83] [84] პროფილაქტიკურად პერორალური

ანტიბიოტიკების მიღება ქირურგიულ ჩარევამდე 1 დღით ადრე ამცირებს ქირურგიული არის დაინფიცირების ინციდენტობას, მექანიკურად ნაწლავის მომზადების გარეშე.[85]

მეზალამინი, პრობიოტიკები, ან რიფაქსიმიინი მორეციდივე დივერტიკულიტის პრევენციისთვის რეკომენდებული არ არის.[43] [47] მტკიცებულებები აჩვენებს, რომ მეზალამინი რეციდივის რისკს არ ამცირებს.[86] არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება რიფაქსიმიინის, მეზალამინისა და რიფაქსიმიინის კომბინაციის, ბალსალაზიდის (5-ამინოსალიცილის მუავას წამლის წინა ფორმის) და პრობიოტიკების კომბინაციის, ან ბურდოკის ჩაის გამოყენების შესახებ.[47] [86]

მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა/შეყვანის გზა და დოზა შეიძლება განსხვავებული იყოს მედიკამენტების დასახელების და ბრენდების, ფორმულარის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის

მიხედვით. მკურნალობის შესახებ რეკომენდაციები სპეციფიკურად ეხება პაციენტების ჯგუფებს: [ob. განმარტება](#)

მწვავე		(შეჯამება)	
უსიმპტომო დივერტიკულოზი			
	1-ლი	კვების და ცხოვრების სტილის ცვლილებები	
სიმპტომური დივერტიკულური დაავადება			
	1-ლი	კვებითი ცვლილებები + ბოჭკოს დამატება	
	დამატებით	პერორალური ანტიბიოტიკოთერაპია	
სიმპტომური დივერტიკულიტი (გაურთულებელი)			
	1-ლი	ანალგეზია	
	დამატებით	პერორალური ანტიბიოტიკოთერაპია	
	დამატებით	დაბალნარჩენიანი დიეტა	
	მე-2	ინტრავენური ანტიბიოტიკოთერაპია	
	დამატებით	ანალგეზია	
	დამატებით	დაბალნარჩენიანი დიეტა	
სიმპტომური დივერტიკულიტი (გართულებული)			
.....■ მწვავე სისხლდენით სწორი ნაწლავიდან ■ არ პასუხობს ინტრავენურ ანტიბიოტიკებზე ან აბსცესი დიამეტრით >3 სმ, ან ვლინდება პერფორაცია, ფისტულა ან ობსტრუქცია	1-ლი	ენდოსკოპიური ჰემოსტაზი/ანგიოგრაფიული ემბოლიზაცია	
	დამატებით	დამხმარე თერაპია + ანტიბიოტიკები	
	დამატებით	ანალგეზია	
	დამატებით	დაბალნარჩენიანი დიეტა	
	მე-2	ქირურგიული ჩარევა	
	დამატებით	დამხმარე თერაპია + ანტიბიოტიკები	
	დამატებით	ანალგეზია	
	დამატებით	დაბალნარჩენიანი დიეტა	
	1-ლი	რადიოლოგიური დრენაჟი / ოპერაცია	
	დამატებით	ინტრავენური ანტიბიოტიკოთერაპია	
	დამატებით	ანალგეზია	
	დამატებით	დაბალნარჩენიანი დიეტა	

მიმდინარე (შეჯამება)	
განმეორებითი დივერტიკულიტი	
1-ლი	გეგმიური ოპერაცია

მკურნალობის ალგორითმი

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა/შეყვანის გზა და დოზა შეიძლება განსხვავებული იყოს მედიკამენტების დასახელების და ბრენდების, ფორმულარის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის

მიხედვით. მკურნალობის შესახებ რეკომენდაციები სპეციფიკურად ეხება პაციენტების ჯგუფებს: [ob](#).
[განმარტება](#)

მწვავე

უსიმპტომო დივერტიკულოზი

1-ლი კვების და ცხოვრების სტილის ცვლილებები

» უსიმპტომო დივერტიკულოზი, რომელიც შემთხვევით დგინდება, არ საჭიროებს მკურნალობას. არსებობს მტკიცებულებები, რომ ამ პაციენტებში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს საკვებით მეტი ბოჭკოს მიღება, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის, რაც ამცირებს სიმპტომური დივერტიკულის განვითარების რისკს.[33] [41] [57]

» არ არის საჭირო, რომ პაციენტები მოერიდონ თესლების, თხილეულის, პოპკორნის ან ხილის ქერქის მირთმევას. საკვებში ბოჭკოს მიღების გაზრდამ შესაძლოა ეტაპობრივად შეამციროს შებერილობა.[52]

» პაციენტებს უნდა ვურჩიოთ შეწყვიტონ მოწვევა და დაიკლონ წონა, თუ აქვთ ჭარბწონიანობა ან სიმსუქნე.[45] [52]

სიმპტომური დივერტიკული დაავადება

1-ლი კვებითი ცვლილებები + ბოჭკოს დამატება

» მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტებში (მაგ. მორეციდივე ტკივილი მარცხენა ქვედა კვადრანტში, შებერილობა, ყაბზობა), მკურნალობა გულისხმობს დიეტის მოდიფიკაციას, განსაკუთრებით ბოჭკოვანი დანამატების თანდათან გაზრდას რამდენიმე კვირის განმავლობაში და ჰიდრატაციის გაძლიერებას.[52] [57] [58]

დამატებით პერორალური ანტიბიოტიკოთერაპია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» ამოქსიცილინ/კლავულანატი: 875 მგ პერორალურად (დაუყოვნებლივ გამოთავისუფლება) ყოველ 8-12 საათში 4-10 დღის განმავლობაში; 2000 მგ პერორალურად (გათართობული გამოთავისუფლებით) ყოველ 12 საათში 4-10 დღის განმავლობაში
დოზა ეხება ამოქსიცილინის კომპონენტს.

მეორეული ვარიანტები

» ციპროფლოქსაცინი: 500 მგ პერორალურად ყოველ 12 საათში ერთხელ, 7-10 დღის განმავლობაში

მწვავე

-Penicillium marneffei-

» **მეტრონიდაზოლი:** 500 მგ პერორალურად ყოველ 8 საათში ერთხელ, 7-10 დღის განმავლობაში

